მოწვევა ტენდერზე

თარიღი:	2016 წლის 3 თებერვალი
სესხის ნომერი:	3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა – ტრანში 3
კონტრაქტის ნომერი და სათაური:	P42414-SUTIP3-ICB-3.02-2015: თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაცია (მე-2 მონაკვეთი)
სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო დღე:	2016 წლის 21 მარტი, 15:00 სთ (ადგილობრივი დროით)

1. საქართველომ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან (აგბ) მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მე-3 ტრანშისთვის და აღნიშნული სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციის (მე-2 მონაკვეთი) სამუშაოები. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია იმ კომპანიების, რომლებიც წარმოდგენილია აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) (“დამკვეთი”) იწვევს ტენდერში უფლებამოსილ მონაწილეებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციისთვის (მე-2 მონაკვეთი) განსახორციელებლად. პროექტი მოიცავს შემდეგ ძირითად სამუშაოებს:

- 6.8 კილომეტრიანი 4-6 ზოლიანი ავტომაგისტრალის რეაბილიტაციას; 2 სატრანსპორტო კვანძის, 2 სახიდე გადასასვლელის, საგზაო გვირაბების და მზიდი კედლის მოწყობას.

კონტრაქტის განხორციელების დაგეგმილი პერიოდი: 730 დღე.

3. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი) ჩატარდება აგბ-ს <u>ერთ-ეტაპიანი ორ-კონვერტიანი</u> სატენდერო პროცედურის შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა კონკურსანტს უფლებამოსილი ქვეყნიდან, რომელიც ჩამოთვლილია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ტენდერში მონაწილე უფლეფამისილი კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რომელიც მოიცავს (თუმცა არ შემოიფარგლება):

ა) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა: მინიმუმ 62,000,000.00 აშშ დოლარის ოდენობის საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა, რომელიც დაანგარიშებული უნდა იყოს სრული დადასტურებული გადახდებით, მიღებული ბოლო სამ წელიწადში მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტებიდან (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: ყველა პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს; თითოეული პარტნიორი ცალ-ცალკე უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთი პარტნიორი 50%);

ბ) მსგავსი მოცულობისა და ხასიათის ხელშეკრულებები: კონკურსანტს ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში მიღებული უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მინიმუმ ერთ (1) წარმატებულად დასრულებულ, ან არსებითად დასრულებულ, მსგავსი სახის სამუშაოს განხორციელებაში, რომელშიც კონკურსანტის წილი აღემატება 50,000,000.00 აშშ დოლარს. (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში ერთი პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს);

გ) ფინანსური რესურსები: კონკურსანტმა უნდა დაადასტუროს ლიკვიდური აქტივების ან საკრედიტო ხაზის არსებობა, ან სხვა ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობა, რათა კონკურსანტმა დააკმაყოფილოს ფინანსური რესურსის მოთხოვნა: (ა) მისი მიმდინარე საკონტრაქტო ღირებულება, მითითებული ფორმაში FIN-4, 100% უნდა იყოს დაკმაყოფილებული შესაბამისი პარტნიორის მიერ, და (ბ) მოცემული კონტრაქტისთვის 7,700,000.00 აშშ დოლარის, ოდენობით (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 25%-ს, ხოლო ერთი პარტნიორი მოთხოვნის 50%-ს).

დეტალური ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის მესამე სექციაში.

5. დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტების შემოწმება კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე 10:00-დან 18:00 საათამდე, სამუშაო დღეებში:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №150, 0112, თბილისი, საქართველო, ოთახი №407
ტელ: +995-32 43 70 01/02/03/04
ფაქსი: +995-32 43 70 77
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

6. ინგლისურენოვანი საკონკურსო დოკუმენტაციის შეძენისთვის, ტენდერში უფლებამოსილი მონაწილეები ვალდებულნი არიან:

ა. მივიდნენ მგფ-ს ოფისში ზემოთ მოცემულ მისამართზე და გადაიხადონ არანაზღაურებადი თანხა 1250 ლარის, ან 500 აშშ დოლარის ოდენობით. გადახდა განხორციელდება პირდაპირი გადარიცხვით მუნიციპალური განვითარების ფონდის ქვემოთ მოცემულ ანგარიშზე:

ლარის გადმორიცხვის შემთხვევაში:
ბენეფიციარის ბანკი: სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი: TRESGE22
ბენეფიციარის ანგარიში: 707337069

დოლარის გადმორიცხვის შემთხვევაში:
ბენეფიციარის ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
სვივტის კოდი: BNLNGE22
ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ანგარიშის ნომერი: GE65NB0331100001150207
საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193
მიუთითეთ: "მოწვევა ტენდერზე, პაკეტის № P42414-SUTIP3-ICB-3.02-2015"

ან

ბ. ზემოთ მოცემულ მისამართზე მოთხოვნის შემთხვევაში გადაიხადონ არანაზღაურებადი თანხა 2500 ლარის, ან 1000 აშშ დოლარის ოდენობით (ზემოთ მითითებულ ანგარიშზე). ასეთ შემთხვევაში დოკუმენტები გაიგზავნება კურიერის საშუალებით. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული დოკუმენტაციის დაკარგვაზე, ან დაგვიანებით მიწოდებაზე.

7. წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები:

- ზემოთ მითითებულ მისამართზე;
- 2016 წლის 21 მარტს, არა უგვიანეს 15:00 საათისა, საქართველოს დროით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.
- საკონკურსო დოკუმენტით განსაზღვრული თანხის შესაბამის სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადის გასვლისთანავე, კონკურსის მონაწილეთა იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.